შ.პ.ს. ოპტიმუსი OPTIMUS LTD.
ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა
სამშენებლო ექსპერტიზა, პროექტირება, მშენებლობა.

№480914 18 სექტემბერი 2014წ.

საექპერტო დასკვნა ქ.თბილისი, ჯიქიას ქ.№6-ში შპს "ფარმინას" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ სამედიცინო დანიშნულების შენობაზე ლიფტის შახტისა და 60 კვ.მდე ფართობის მქონე შენობის მიშენების ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

ჩვენი სპეციალისტების მიერ ვიზუალური შემოწმება ჩაუტარდა ქ.თბილისი, ჯიქიას ქ.№6-ში შპს "ფარმინას" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებულ სამედიცინო დანიშნულების შენობის ტექნიკურ მდგომარეობას, მასზე წინა ფასადის მხრიდან ლიფტის შახტისა და 60კვ.მ-დე მქონე შენობის მიშენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული ძირითადი შენობა წარმოადგენს ოთხსართულიან ნაგებობას, რომლის მზიდ კარკასი მონოლითური რკ/ბეტონის ჩონჩხედია. საძირკველი კომბინირებულია (წერტილოვან-ლენტური), სვეტები, რიგელები და სართულშუა გადახურვის ფილები მონოლითური რკ/ბეტონისაა, შენობის გადახურვა ბრტყელია. აღსანიშნავია, რომ შენობა, რომლის ფუნქციური დანიშნულებაც სამედიცინო ტიპისაა, ახალი აშენებულია და მისი ტექნიკური მდგომარეობა შესაბამისად დამაკმაყოფილებელია.

დამკვეთს გადაწყვეტილი აქვს შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს, ფრონტალური ფასადის მხიდან მასზე ლიფტის შახტის მოწყობას მესამე სართულის იატაკის ნიშნულემდე და შენობის მომიჯნავედ (შენობებს შორის დარჩენილია ტემპერატურული ნაკერი) არსებული 60 კვ.მ-დე ნაგებობის მიბმა ძირითად შენობაზე და იქ ძირითადი შენობის ფოიეს მოწყობა.

ლიფტის შახტას უმონტაჟდება დამოუკიდებელი საძირკველი, რომელიც გადაწყვეტილი იქნება მონოლითური რკ/ბეტონის ფილით და ფაქტიურად მასზე მოწყობილი შახტა სამედიცინო კლინიკას დაუკავშირდება მხოლოდ მოქნილი გადაბმებით სართულის იატაკის ნიშნულებზე, რაც შეეხება 60 კვ.მ-მდე შენობას მასა და კლინიკის შენობის შორის დარჩენილი ტემპერატურული ნაკერი ივსება მსუბუქი შემავსებლით (აგურით, წვრილი სამშენებლო ბლოკით და ა.შ.) და ილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სამედიცინო დანიშნულების მქონე შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებას დადებით რეკომენდაციას ვაძლევთ.

შპს "ოპტიმუსი"-ს

დირექტორი,

ინჟინერ-კონსტრუქტორი

გ.ჭანკვეტაძე